



საჩუქრისგანაცხადი წერილი





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ხელმძღვანელობას

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
აუდიტი

10 ნოემბერი, 2020 წელი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელს,
ბატონ გოჩა ლორთქიფანიძეს

ბატონო გოჩა,

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

გენერალური აუდიტორი
ერეკლე მექვაბიშვილი

| | |
|---|----|
| ტერმინები და შემოკლებები | 2 |
| 1. რეკომენდაციები | 3 |
| 1 შიდა კონტროლის სისტემა..... | 9 |
| 2 ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები (შეუსწორებელი უზუსტობები) | 14 |
| საკონტაქტო ინფორმაცია | 18 |

ტერმინები და შემოკლებები

ანგარიშგება – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;

აღსრულების ეროვნული ბიურო – სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო;

ბილინგის სისტემა – სერვისების სააგენტოს და საჯარო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული სისტემა, სადაც ცენტრალიზებულად ხდება კლიენტების მიერ მომსახურების საფასურის გადახდა და აღრიცხვა;

ეროვნული არქივი – სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივი;

იუსტიციის სასწავლო ცენტრი – სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი;

იუსტიციის სახლი – სსიპ – იუსტიციის სახლი;

სააღრიცხვო ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

სამინისტრო – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

საჯარო რეესტრის სააგენტო – სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

სერვისების სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

„სმართ ლოჯიკი“ – სსიპ – „სმართ ლოჯიკი“.

1. რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით¹

ქონების და მოთხოვნა - ვალდებულებების ინვენტარიზაცია

ფაქტობრივი გარემოება N1

სამინისტროს დაქვემდებარებული ერთეულებიდან, ქონების ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა ან არასრულად განხორციელდა მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილ 3 უწყებაში:

საჯარო რეესტრის სააგენტო² – 2019 წელს სააგენტოში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

სპეციალური პენიტენციური სამსახური – 2019 წელს ინვენტარიზაცია ჩატარდა მხოლოდ უმრავ ქონებაზე და სტრატეგიულ აქტივებზე.³

ეროვნული არქივი – 2019 წელს ქონების ინვენტარიზაცია ჩატარებულია არასრულად, კერძოდ, არ არის შედგენილი შედარების უწყისი, საინვენტარიზაციო აღწერის უწყისებსა და შემაჯამებელ ოქმში დაფიქსირებულია მხოლოდ საბუღალტრო ნაშთები.

გარდა აღნიშნულისა, ინვენტარიზაციებთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

- **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში**, 2018 წელს საწყობში ჩატარებული ინვენტარიზაციით, დგინდება 915,049 ლარის დანაკლისი.⁴ აღნიშნული დანაკლისიდან გარკვეულ ნაწილზე დადგინდა პირთა ბრალეულობა.⁵ შედეგები შემდგომი რეაგირების მიზნით გაგზავნილია სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტში, რომელმაც იმ მოტივით, რომ პროცედურები ჩატარდა მხოლოდ სასაწყობო სამმართველოში და აღნიშნული ვერ უზრუნველყოფდა მატერიალური აქტივების სრულად მოძიებას, მიიჩნია, რომ საჭირო იყო სრული სტრუქტურული ინვენტარიზაცია. დანაკლისების რეალური ოდენობისა და მიზეზების დასადგენად, 2019 წელს სამსახურში ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა;
- **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში**, 2017 წელს განხორციელებული მედიკამენტებისა და სამედიცინო სახარჯი მასალების ინვენტარიზაციის შედეგად, 2018 წლის 10 იანვრის სხდომის ოქმით, კომისიამ გამოავლინა 893,577 ლარის დანაკლისი

¹ წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში (<https://aris.sao.ge/>).

² 2020 წლის 1 ივლისს სამინისტროს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის თანახმად, ინვენტარიზაცია სააგენტოში ამჟამად მიმდინარეობს.

³ ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა

⁴ საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათის (N634569, 11.07.2018) მიხედვით, ობიექტის განმარტებით, აღნიშნული დანაკლისი წარმოადგენდა 2016 წელს ჩატარებული გამოძიების შედეგად უკანონოდ მითვისებულ მარაგებს, 232.09 ათასი ლარის ოდენობით, ასევე სხვადასხვა დასახელების, ძირითადად, წინა პერიოდებში მიღებულ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს.

⁵ საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათით (N634569, 11.07.2018), აღნიშნული დანაკლისი წარმოადგენდა 2016 წელს ჩატარებული გამოძიების შედეგად უკანონოდ მითვისებულ მარაგებს, 232.09 ათასი ლარის ოდენობით, ასევე სხვადასხვა დასახელების, ძირითადად, წინა პერიოდებში მიღებულ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს.

(მათ შორის, გაუქმებულ პენიტენციური დაწესებულებებზე რიცხული 134,777 ლარის მარაგები). ამავე ოქმში მოცემული განმარტებით, დანაკლისი განპირობებული იყო წინა პერიოდებში მედიკამენტების აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმების არარსებობით, ინვენტარიზაციის განუხორციელებლობით და მარაგების ბრუნვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებებით (აღნიშნული საკითხი განხილულია წინა აუდიტების ანგარიშებში).⁶ გამოვლენილ დანაკლისთან დაკავშირებით არ გატარებულა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები⁷ და ინვენტარიზაციის შედეგები, შემდგომი შესწავლის მიზნით არ არის გადაგზავნილი სამართალდამცავი ორგანოებისთვის. შესაბამისად, დანაკლისის ზუსტი მიზეზები დაუდგენელია.

რაც შეეხება მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციას:

- **საჯარო რეესტრის სააგენტოს და სერვისების სააგენტოს** – გაუქმებული მიწის მართვის დეპარტამენტის მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.
- **აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში** ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა სრულყოფილად, ვინაიდან საგადასახადო მოთხოვნა-ვალდებულებები არ არის შედარებული საგადასახადო ბარათებთან.
- **ეროვნულ არქივში** არ არის განხორციელებული ფაქტობრივი და საბუღალტრო ნაშთების შედარება.

ფაქტობრივი გარემოება N2

სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების ბალანსზე აღრიცხულია შენობა-ნაგებობები, მიწა, დაუმთავრებელი მშენებლობები, რომლებიც არ იმყოფება მათ ფაქტობრივ სარგებლობაში. ინფორმაცია აღნიშნული აქტივების ღირებულების შესახებ მოცემულია ცხრილში N1:

ცხრილი N1. ინფორმაცია სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ბალანსზე რიცხული და ფაქტობრივ სარგებლობაში არარსებული გრძელვადიანი აქტივების ღირებულების შესახებ (ლარი)

| საბალანსე ერთეული | კატეგორია | ღირ-ბა (01.01.2019) | ღირ-ბა (31.12.2019) |
|-----------------------------|----------------|------------------------|------------------------|
| სპეციალური პენიტ. სამსახური | შენობები, მიწა | 9,132,842 | 8,972,217 |
| სპეციალური პენიტ. სამსახური | დაუმთ. მშენებ. | 557,050 | 557,050 |
| აღსრულების ბიურო | შენობები | 411,991 | 409,931 |
| სამინისტროს აპარატი | შენობები | 47,863 | 47,368 |
| საჯარო რეესტრის სააგენტო | შენობები | 71,520 | 71,520 |
| სულ: | | 10,221,266 | 10,058,086 |

⁶ საკითხი არ ეხება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებულ მედიკამენტებს, რომელთა აღრიცხვასა და კონტროლს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 2, „დ“ ქვეპუნქტი.

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელოვანი მაგალითი ფაქტობრივ სარგებლობაში არარსებული აქტივების შესახებ:

- სპეციალური პენიტენციური სამსახური: ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა N83^ა-ში მდებარე ყოფილ ადმინისტრაციულ შენობასა და ყოფილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობებზე შეწყვეტილია სარგებლობის უფლება და აღნიშნული შენობები იმყოფება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების სარგებლობაში. მიუხედავად ამისა, შენობები, ჯამური ნარჩენი ღირებულებით – 7,704,504 ლარი, კვლავ სამსახურის ბალანსზეა აღრიცხული;
- სპეციალური პენიტენციური სამსახური: ქ. თბილისში, გულუას ქუჩა N10-ში მდებარე, 2018 წელს გაუქმებული N7 პენიტენციური დაწესებულების შენობის ფართი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით – 550,817 ლარი, არ არის გადაცემული შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის;
- სპეციალური პენიტენციური სამსახური: 420,424 ლარის ნარჩენი საბალანსე ღირებულების შენობა-ნაგებობა წარმოადგენს ქ. თბილისში, ავჭალის ქუჩა N17-ში მდებარე, ყოფილ N10 პენიტენციურ დაწესებულებას, რომელზეც 2016 წელს შეწყვეტილია სარგებლობის უფლება, ხოლო ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა N75-ში მდებარე, არაწარმოებული აქტივების ანგარიშზე რიცხული 260,800 ლარის საბალანსო ღირებულების მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მესაკუთრე, სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით, კერძო ორგანიზაციაა;
- აღსრულების ეროვნული ბიუროს ბალანსზე ირიცხება სხვადასხვა შენობა-ნაგებობა,⁸ რომლებზეც სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით, შეწყვეტილია სარგებლობის უფლება. ამასთანავე, 2019 წლის საინვენტარიზაციო დოკუმენტაციაში არ არის განხილული აღნიშნული საკითხი.

მიზეზი

- ⌋ წინა წლებში ინვენტარიზაციის განუხორციელებლობა; საკმარისი საკადრო რესურსის არარსებობა ინვენტარიზაციის ჩასატარებლად;
- ⌋ აქტივების და ვალდებულებების ფაქტობრივ და საბუღალტრო ნაშთების დადარებასთან დაკავშირებით, არასათანადო კონტროლი;
- ⌋ ქონების ფაქტობრივ მოსარგებლებთან/მფლობელებთან ვერ განხორციელდა ურთიერთშეთანხმება ქონებაზე გაწეულ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულებების გადაცემასთან დაკავშირებით.

გავლენა

არ არის დაცული კანონმდებლობის მოთხოვნები, ბალანსზე ირიცხება ფაქტობრივ სარგებლობაში არარსებული უძრავი ქონება, წარმოიშობა აქტივების დანაკლისის რისკები, განსაკუთრებით, მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯი მასალების ნაწილში (რაც განხილულია ფაქტობრივ გარემოებებში). სამინისტროს ბალანსზე ირიცხება ხანდაზული მოთხოვნა - ვალდებულებები, რომელთა საცნობარო მუხლზე გადატანის საკითხი არ არის გადაწყვეტილი.

⁸ 9 (ცხრა) ქალაქში არსებული 10 ერთეული შენობა-ნაგებობა და მათზე გაწეული კაპიტალური სამუშაოების ღირებულება.

რეკომენდაცია

აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, ასევე ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად, მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულმა უწყებამ ყოველწლიურად შექმნას საინვენტარიზაციო კომისიები და უზრუნველყოს:

- სასაქონლო-მატერიალური მარაგების და გრძელვადიანი აქტივების ფაქტობრივი აღწერა (3 წელიწადში ერთხელ – უძრავი ქონების);
- ზედმეტობა-დანაკლისებზე შემდგომი რეაგირება და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
- დებიტორებთან/კრედიტორებთან ურთიერთშედარების აქტების გაფორმება;
- ხანდაზმული დავალიანებების ბალანსგარეშე საცნობარო მუხლში გადატანის საკითხის გადაწყვეტა.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სპეციალური პენიტენციური სამსახური, საჯარო რეესტრის სააგენტო, სამინისტროს აპარატი, ეროვნული არქივი, აღსრულების ეროვნული ბიურო.

ძირითადი საშუალებები

ფაქტობრივი გარემოება

იუსტიციის სახლის თბილისის ფილიალი, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად ფუნქციონირებს 2012 წლიდან, არ არის ექსპლუატაციაში მიღებული.

გარდა აღნიშნულისა, სერვისების სააგენტოს და საჯარო რეესტრის სააგენტოს დაუმთავრებელი მშენებლობის სახით ერიცხებათ მათ მიერ თბილისის **იუსტიციის სახლის** მშენებლობაზე გაწეული დანახარჯები, ჯამურად 82,699,670 ლარი, თუმცა არ არის გადაწყვეტილი ზემოთ აღნიშნული აქტივების **იუსტიციის სახლისთვის** გადაცემის საკითხი.

მიზეზი

-) მშენებლობის შეთანხმებულ პროექტთან შეუსაბამობა;
-) განხორციელებულ სამუშაოებზე – **სერვისების სააგენტოს, საჯარო რეესტრის სააგენტოსა და იუსტიციის სახლს** შორის ურთიერთშედარებასთან დაკავშირებული პრობლემები.

გავლენა

აქტივი კლასიფიცირებულია არასწორად, არ ერიცხება ცვეთა და ანგარიშგებაში წარმოდგენილია გაზრდილი ღირებულებით. არ არის აღმოფხვრილი შენობის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა ხარვეზი.

რეკომენდაცია

შენობის ექსპლუატაციაში მიღების პრობლემის აღმოფხვრის, ფაქტობრივ სარგებლობასთან და სწორად აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით, **იუსტიციის სახლის** მიერ განხორციელდეს თბილისის იუსტიციის სახლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ხარვეზის/ნაკლოვანების იდენტიფიცირება, შედგეს დროში გაწერილი გეგმა და შესაბამისი ბიუჯეტი აღნიშნული სამუშაოების

ჩასატარებლად. მნიშვნელოვანია ურთიერთშედარების საფუძველზე, დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე აღრიცხულ სამუშაოთა ღირებულებები გადაეცეს იუსტიციის სახლს.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

იუსტიციის სახლი, სერვისების სააგენტო, საჯარო რეესტრის სააგენტო.

ფაქტობრივი გარემოება

სპეციალური პენიტენციური სამსახურის და აღსრულების ეროვნული ბიუროს ბალანსზე ირიცხება 1,460,797 ლარის სტრატეგიული აქტივი,⁹ თუმცა მათზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება. მოქმედი ინსტრუქციით,¹⁰ ასეთ აქტივებზე ცვეთის ნორმა დადგენილი არ არის. ამავდროულად ინსტრუქციის თანახმად, ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს ცვეთის ნორმების შესაბამისი პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

მიზეზი

ცვეთის ნორმების განსაზღვრასთან დაკავშირებული სირთულე; ცვეთის ნორმები დადგენილი არ არის.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივები წარმოდგენილია გაზრდილი ღირებულებით.

რეკომენდაცია

მოქმედი საკანონმდებლო აქტების და სტანდარტების მოთხოვნათა შესრულებისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, შემუშავდეს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასამტკიცებლად წარედგინოს ისეთი ქონების ცვეთის ნორმების პროექტი, რომელთა მიმართ შეუძლებელი ან მიზანშეუწონელია ცვეთის ერთგვაროვანი ნორმების გამოყენება.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სპეციალური პენიტენციური სამსახური, აღსრულების ეროვნული ბიურო.

ფაქტობრივი გარემოება

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და საჯარო რეესტრის სააგენტოს სარგებლობაში არსებული მიწები, შესაბამისად, 2,250,404 კვ.მ და 14,754 კვ.მ, არ არის შეფასებული და ღირებულებით ასახული არაწარმოდებული აქტივების ანგარიშზე. ასევე არ არის შეფასებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი და აღურიცხავი 4 (ოთხი) ერთეული არასაცხოვრებელი შენობა და 86 ერთეული ნაგებობა.

მიზეზი

ობიექტის განმარტებით, აქტივების შეფასებისთვის შესაბამისი ფინანსური რესურსები გამოყოფილი არ არის.

⁹ ცეცხლსასროლი იარაღი.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1.

გავლენა

ანგარიშგებაში არაწარმოებული აქტივები და შენობა-ნაგებობები ასახულია შემცირებულად.

რეკომენდაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში უძრავი ქონების აღრიცხვის სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, **სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა და საჯარო რეესტრის სააგენტომ**,¹¹ განახორციელონ ღირებულების გარეშე არსებული ქონების შეფასება და ბალანსზე ასახვა. ამასთანავე, რესურსების დაზოგვის მიზნით, მიზანშეწონილია სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიწების შეფასებისას იხელმძღვანელოს შესაბამისი მუნიციპალიტეტების დადგენილებებით განსაზღვრული ნორმატიული ფასებით.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სპეციალური პენიტენციური სამსახური, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია

ფაქტობრივი გარემოება

სააღრიცხვო ინსტრუქციის¹² მოთხოვნების შესაბამისად, კონსოლიდაციის დროს ეკონომიკურ ერთეულში შემავალი კომპონენტების ნაშთები და მათ შორის განხორციელებული ოპერაციები მთლიანად უნდა გამოირიცხოს და ანგარიშგება მომზადდეს ისე, რომ აღნიშნული ოპერაციები და ნაშთები არ იყოს მასში ასახული.

შესაბამისი კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას, სამინისტროს მიერ არ ხდება სისტემაში შემავალ ერთეულებს შორის ოპერაციებისა და ნაშთების ელიმინირება (გამორიცხვა). კერძოდ, არ არის ელიმინირებული სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებს შორის განხორციელებული ოპერაციები, ღირებულებით – 36,346,246 ლარი¹³ და წლის ბოლოს არსებული მოთხოვნა-ვალდებულებების ნაშთები, შესაბამისად, 213,629 და 225,599 ლარი.

მიზეზი

არ არსებობს სათანადო კონტროლის მექანიზმები – ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას, შიდაჯგუფური ოპერაციების და ნაშთების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები, ასევე აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია გაზრდილი ღირებულებით.

რეკომენდაცია

სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად, ანგარიშგების მომზადებისას, მოხდეს შიდაჯგუფური ოპერაციების იდენტიფიცირება. ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას აღნიშნული ოპერაციების/ნაშთების ელიმინირების მიზნით, სამინისტროს საბალანსო ერთეულებმა უზრუნველყონ

¹¹ იუსტიციის სახლის მიერ მიწის შეფასება განხორციელებულია 2020 წელს.

¹² სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 39, პუნქტი 30.

¹³ მათ შორის, ფულადი გრანტი - 17,458,480 ლარი, სასაქონლო გრანტი - 5,162,431 ლარი, საქონელი და მომსახურება - 13,725,335 ლარი.

განხორციელებული ოპერაციებისა და არსებული ნაშთების ურთიერთშედარება.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი.

1 შიდა კონტროლის სისტემა

საჯარო რეესტრის სააგენტოს სათავო ოფისის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის გაანგარიშებაში არსებული ნაკლოვანებები

საჯარო რეესტრის სააგენტოს მიერ თბილისში, გორგასლის ქ. N22-ში სათავო ოფისის მშენებლობაზე, გათბობა-გაგრილების სისტემის და ფასადის/შიდა მოპირკეთების სამუშაოების შესყიდვაზე 2018 წლის ოქტომბერს¹⁴ და 2019 წლის იანვარში¹⁵ გამოცხადებული ტენდერების შედეგად, გაფორმებულია 2 (ორი) ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით – 20,656,064 ლარი. ხელშეკრულებების ფარგლებში გადახდილი თანხა, 2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, 19,108,165 ლარს შეადგენს.

მოცემულ სამუშაოებზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების არასწორად გამოყენებისა და შესასრულებელ სამშენებლო სამუშაოთა მოცულობების არასწორად გაანგარიშების შედეგად, აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლინდა სახელშეკრულებო ღირებულების 279,287 ლარით გაზრდის ფაქტი.¹⁶ აღნიშნული თანხიდან 2020 წლის 20 ივლისის მდგომარეობით სააგენტოს მიერ კომპანიებისთვის გადახდილია 165,085 ლარი.¹⁷

აღსანიშნავია ისიც, რომ სატენდერო ხარჯთაღრიცხვები და სააგენტოს მიერ ხელმოწერილ ინსპექტირების აქტებში შესრულებულად ნაჩვენები სამუშაოთა მოცულობები და ღირებულებები დადასტურებულია ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნებით.¹⁸

აღნიშნული სამუშაოები აუდიტის მიმდინარეობისას არ არის დასრულებული და შესაბამისად, არ არის გაფორმებული საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტები.

რესურსების ეკონომიურად ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო რეესტრის სააგენტომ შეიტანოს კორექტირება სამშენებლო კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ღირებულებები შემცირდეს ზემოთ მითითებული თანხების (279,287 ლარი) ფარგლებში, ასევე უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების ბიუჯეტში დაბრუნება.

რეკომენდაცია

საჯარო რეესტრის სააგენტო.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

¹⁴ NAT180017010, გამარჯვებული - შპს „დაგი“.

¹⁵ NAT190000717, გამარჯვებული - შპს „თბილი სახლი“.

¹⁶ ხელშეკრულება N01/14/070, 04.04.2019 წ.; შპს „თბილი სახლი“ - 235,575 ლარი და ხელშეკრულება N01/14/177, 11.12.2018 წ.; შპს „დაგი“ - 43,712 ლარი.

¹⁷ შპს „თბილი სახლი“ - 121,373 ლარი, შპს „დაგი“ - 43,712 ლარი.

¹⁸ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, შპს „მშენექსპერტი“ - 2019-2020 წლების დასკვნები.

**სააღრიცხვო პროგრამის
არარსებობა**

სამინისტროს აპარატს არ გააჩნია ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა სააღრიცხვო ინფორმაციის დასამუშავებლად და ე.წ. „მთავარი წიგნის“ საწარმოებლად. სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება ხორციელდება პროგრამა MS Excel-ის მეშვეობით, რაც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებულ კონტროლის ნაკლოვანებას, ვინაიდან შეიცავს ადამიანური ფაქტორით გამოწვეული უზუსტობის რისკებს.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სრულყოფის მიზნით, **სამინისტროს აპარატმა** უზრუნველყოს შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა.

**კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სამინისტროს აპარატი.

**შიდა აუდიტის სტრუქტურული
ერთეულების საქმიანობის
ნაკლოვანება**

აღსრულების ეროვნული ბიუროს, იუსტიციის სახლის და სერვისების სააგენტოს შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, მათი ანგარიშების მიხედვით, წარმოადგენს თანამშრომელთა სამსახურებრივი დისციპლინისა და საქმიანობის კანონიერების შემოწმება, რაც არ შეესაბამება „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით შიდა აუდიტის სუბიექტისთვის განსაზღვრულ საქმიანობის მასშტაბს.

ასევე, სერვისების სააგენტოს დებულების თანახმად, შიდა აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი ამოცანაა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით სააგენტოში არსებული ინფრასტრუქტურის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და მოქმედი ელექტრონული პროგრამების აუდიტი“, თუმცა სამსახურის მიერ აღნიშნული ამოცანა არ სრულდება.

საქართველოს მთავრობის N391 დადგენილების შესაბამისად, საჯარო რეესტრის სააგენტოში შიდა აუდიტის სტრუქტურული დანაყოფის შექმნა და მის მიერ აუდიტორული საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია 2018 წლიდან, თუმცა სააგენტოში არ არის შექმნილი შიდა აუდიტის სუბიექტი (არსებობს შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც ინსპექტირების საქმიანობას ახორციელებს);

რეკომენდაცია

იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ებში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, შიდა აუდიტის წლიური გეგმით განისაზღვროს „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა საქმიანობა (დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება, ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სისრულის და სიზუსტის შეფასება და ა.შ.).

**კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სერვისების სააგენტო, იუსტიციის სახლი, საჯარო რეესტრის სააგენტო, აღსრულების ეროვნული ბიურო.

**სააღრიცხვო პოლიტიკის
არარსებობა**

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგ საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯები და სხვ.

სააღრიცხვო პოლიტიკის არქონით არის გამოწვეული სხვადასხვა საბალანსო ერთეულში რიგ შემთხვევებში ერთსა და იმავე მუხლებთან მიმართებით (ძირითადი აქტივები, ცვეთის ხარჯი, მოგების გადასახადის გაანგარიშება, ქონების/მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება) აღიარების სხვადასხვა მეთოდის/პრინციპის არსებობა.

სამინისტრომ და საბალანსო ერთეულებმა უზრუნველყონ, რომ უახლოეს მომავალში მიღებულ იქნეს დეტალიზებული, ორგანიზაცი(ებ)ის ძირითადი ოპერაციების ამსახველი სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული რისკის შემცირებას.

სამინისტროს ყველა დაქვემდებარებული უწყება.

რეკომენდაცია

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

შემოსავლების აღრიცხვის ნაკლოვანება

სერვისების სააგენტოს, საჯარო რეესტრის სააგენტოს და ეროვნული არქივის შემოსავლების სისტემა მოიცავს ყოველდღიურ რუტინულ და მრავალრიცხოვან ოპერაციებს, რომელთა დარიცხვის მეთოდის საფუძველზე აღრიცხვა მოითხოვს საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) მხარდაჭერას და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არსებობას, რაც დღეის მდგომარეობით აღნიშნულ სსიპ-ებში შემუშავებული არ არის.

სერვისების სააგენტოსა და საჯარო რეესტრის სააგენტოში არ არსებობს შესაბამისი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ინტეგრირებული იქნება მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი საფასურების და ფაქტობრივად გაწეული მომსახურებების შესახებ ინფორმაცია, რამაც, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვა¹⁹ და შექმნას კონტროლის მექანიზმი იმ მიზნით, რომ სააგენტოები დარწმუნდნენ მიღებული შემოსავლების და მიღებული ავანსების აღრიცხვის სისრულეში.

აუდიტის შედეგად, ხაზინის ელექტრონულ პროგრამაში იდენტიფიცირებულია 2018 წლის 148,750 ლარის²⁰ და 2019 წლის 142,329 ლარის²¹ შემოსავლის ტრანზაქცია, რომლებიც ასახულია არასწორ საანგარიშო პერიოდში, შესაბამისად, 2019 და 2020 წლებში.

აღსრულების ეროვნულ ბიუროში სადეპოზიტო ვალდებულებების აღრიცხვასთან დაკავშირებით ვლინდება შემდეგი გარემოებები (რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს შემოსავლების აღრიცხვაზე):

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის N701 ბრძანება „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

²⁰ 93.230 ლარი - სერვისების სააგენტო, 55,520 ლარი - საჯარო რეესტრის სააგენტო.

²¹ სერვისების სააგენტო - 82,708 ლარი, საჯარო რეესტრის სააგენტო - 59,621 ლარი (მოცემულია დღგ-ის გარეშე).

- 2,819,883 ლარის სადეპოზიტო ვალდებულების წარმოშობის წელი და კრედიტორის ვინაობა არ არის იდენტიფიცირებული. აღსრულების ეროვნული ბიუროს განმარტებით, აღნიშნული საკითხი უკავშირდება ბიუროს შექმნის პერიოდში არსებულ აღრიცხვის პრობლემებს, რის შედეგად ვერ ხერხდება კრედიტორების იდენტიფიცირება;
- 2019 წლის ბოლოს, სადეპოზიტო ვალდებულებების ანგარიშზე არსებული ნაშთი მოიცავს 97,000-ზე მეტ საქმეს, ნაშთების და ოპერაციების კონტროლისთვის არ არსებობს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა დამუშავება ხდება მანუალურად, MS Excel-ის პროგრამაში, რაც საჭიროებს დიდ დროით რესურსს. კონტროლის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობს ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომის დაშვების რისკიც. ამგვარი სახის კონტროლი ვერ უზრუნველყოფს სადეპოზიტო თანხების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მიღებას;
- შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობის გამო, სადეპოზიტო ვალდებულებების ბუღალტრულად აღრიცხვა არ წარმოებს ინდივიდუალურად, კრედიტორების მიხედვით. საბუღალტრო ანგარიშზე თანხების ზრდა და შემცირება აისახება ჯამურად, ბანკის ამონაწერებში დაფიქსირებული თანხების შესაბამისად. ნაშთები მოიცავს როგორც სააღსრულებო პროცედურების შედეგად ამოღებულ და კრედიტორებისთვის გადასარიცხ, ასევე კანონმდებლობით დადგენილ, ბიუროს მომსახურების საფასურის თანხებს. მათი ოდენობა დგინდება ამოღებული თანხების განკარგვის შესახებ დოკუმენტაციის საფუძველზე (საფასურის განკარგვის შესახებ მიმართვა), რომელიც ხშირ შემთხვევაში დგება საანგარიშო წლის დასრულებამდე, რის საფუძველზეც ბიუროს საფასურის თანხით სადეპოზიტო ვალდებულების ანგარიშში უნდა შემცირდეს და თანხა აღიარდეს შემოსავლად.

შემოსავლების აღრიცხვის სრულყოფის მიზნით:

- სერვისებისა და საჯარო რეესტრის სააგენტოებმა უზრუნველყონ ისეთი IT სისტემის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით.
- სადეპოზიტო ანგარიშებზე ჩარიცხული თანხების ოპერატიული და სრულყოფილი კონტროლის, ასევე შემოსავლების დარიცხვის მეთოდით მომზადების უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნულ ბიუროში შემუშავდეს და დაინერგოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

რეკომენდაცია

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სერვისების სააგენტო, საჯარო რეესტრის სააგენტო, აღსრულების ეროვნული ბიურო.

ფასეულობებზე მატერიალურად
პასუხისმგებლობაზე
ხელშეკრულების გაფორმება

საჯარო რეესტრის სააგენტოსა და იუსტიციის სახლში, ცენტრალურ საწყობსა და სხვა დანაყოფებზე, სადაც ხდება ფასეულობების მიღება, შენახვა და განაწილება (იუსტიციის სახლის 24 ფილიალი), მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე,²² აღნიშნული დამატებით წარმოშობს აქტივების დაცულობასთან დაკავშირებულ რისკებს.

რეკომენდაცია

აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, ცენტრალურ საწყობსა და ყველა იმ ქვედანაყოფზე, სადაც ხდება ფასეულობების მიღება, შენახვა და განაწილება, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან გაფორმდეს ხელშეკრულება სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც

გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

იუსტიციის სახლი, საჯარო რეესტრის სააგენტო.

²² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 9.

2 ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები (შეუსწორებელი უზუსტობები)

ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება (შემცირება) 22,264,787 ლარს შეადგენს, რაც 9,787,133 ლარით ნაკლებია წლის განმავლობაში ფულადი სახსრების რეალურ ცვლილებაზე – 12,477,654 ლარზე. სხვაობა ძირითადად განპირობებულია იმით, რომ სხვადასხვა საბალანსე ერთეულს²³ საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში მითითებული აქვს წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივების შესყიდვაზე გაწეული საკასო ხარჯი, რომელიც მოიცავს კომპონენტებს, რაც სააღრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისად,²⁴ არ წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობისთვის გადახდილ თანხებს (ძირითადი საშუალებების შესყიდვა):

-)] არაფინანსური აქტივების შესყიდვისთვის გადახდილი დღგ;
-)] არაფინანსური აქტივების მოწოდებისთვის დავალიანების დაფარვა.

რეკომენდებულია, საბალანსე ერთეულებმა ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება მოამზადონ სააღრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისი მოთხოვნების დაცვით.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სპეციალური პენიტენციური სამსახური, ეროვნული არქივი, სასწავლო ცენტრი, იუსტიციის სახლი, „სმართ ლოჯიქი“, სერვისების სააგენტო, საჯარო რეესტრის სააგენტო, აღსრულების ეროვნული ბიურო.

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგება

სერვისების სააგენტოს მიერ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები მოიცავს წლის განმავლობაში დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშიდან შენობა - ნაგებობების ანგარიშზე კლასიფიცირების თანხას – 9,121,349 ლარს, რაც სააღრიცხვო ინსტრუქციის თანახმად,²⁵ არ წარმოადგენს აქტივის არასაოპერაციო ცვლილებას (ზრდა/კლება).

რეკომენდებულია, წმინდა აქტივების/კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში ასახული არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები მოიცავდეს მხოლოდ სააღრიცხვო ინსტრუქციით გათვალისწინებულ შემოსავლებს/ხარჯებს.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სერვისების სააგენტო.

ძირითადი აქტივების ცვეთა

სამინისტროს სხვადასხვა კომპონენტში გამოვლინდა ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვაში არსებული ნაკლოვანებები:

-)] საჯარო რეესტრის სააგენტო – ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხ ბაზად სააგენტო იყენებს არა ისტორიულ, არამედ 2012 წლის დასაწყისისთვის არსებულ ნარჩენ ღირებულებებს, რის გამოც, საანგარიშო პერიოდში დარიცხული ცვეთის ხარჯი ნაჩვენებია შემცირებულად. წარმოდგენილი ინფორმაციით ვერ ხორციელდება აქტივების საწყისი

²³ სპეციალური პენიტენციური სამსახური, ეროვნული არქივი, იუსტიციის სასწავლო ცენტრი, „სმართ ლოჯიქი“, იუსტიციის სახლი, სერვისების სააგენტო, საჯარო რეესტრის სააგენტო, აღსრულების ეროვნული ბიურო.

²⁴ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 36, პუნქტი 43.

²⁵ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 191, პუნქტები: 2,3.

ღირებულების დადგენა, შესაბამისად, კორექტირებისთვის საჭირო თანხა ზუსტად ვერ განისაზღვრება;

ს) **იუსტიციის სახლი** – ტექნიკაზე, ინვენტარსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის დასარიცხ ბაზად იუსტიციის სახლი ისტორიულის ნაცვლად, იყენებს ნარჩენ საბალანსო ღირებულებას. ამასთანავე, 2019 წელს ცვეთა არ არის დარიცხული საწყობში არსებულ და ექსპლუატაციაში მყოფ 3,577,743 ლარის ნარჩენი ღირებულების ტექნიკაზე/ინვენტარზე, ხოლო 2019 წელს 17,657,865 ლარის ნარჩენი ღირებულების შენობა-ნაგებობებზე, არ არის დარიცხული 176,579 ლარის ცვეთა;

ს) **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს** არ აქვს ცვეთა დარიცხული განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებზე (46,094 ლარი), ამასთან ერთად, არასწორი ცვეთის ნორმის გამოყენების გამო, ტექნიკაზე/ინვენტარზე, სატრანსპორტო საშუალებებსა და შენობა-ნაგებობებზე ჯამურად დარიცხულია 672,852 ლარით ნაკლები ცვეთის თანხა;

ს) 2019 წელს ცვეთა არ არის დარიცხული **თბილისის იუსტიციის სახლსა და სამინისტროს ცენტრალური აპარატის შენობის ნაწილზე**, ღირებულებით – 832,322 ლარი.

რეკომენდებულია, კომპონენტებმა ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვისას იხელმძღვანელონ შესაბამისი ინსტრუქციით.²⁶

კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

საჯარო რეესტრის სააგენტო, იუსტიციის სახლი, სპეციალური პენიტენციური სამსახური.

გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში – „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ – ანგარიშის საბოლოო ნაშთი შეადგენს 11,776,638 ლარს. მუხლის კლასიფიკაციასა და აღრიცხვასთან დაკავშირებით გამოვლენილია შემდეგი გარემოებები:

აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში 2019 წლის ბოლოს, ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები, ჯამური თანხით – 2,894,497 ლარი,²⁷ არ არის ჩამოწერილი და გადატანილი საცნობარო მუხლის ანგარიშზე – „ექსპლუატაციაში მყოფი, ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“, სააღრიცხვო ინსტრუქციის მოთხოვნის შესაბამისად,²⁸

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, 2019 წლის ბოლოს 4,586,890 ლარის ღირებულების სპეცტანსაცმელი და უნიფორმა, ნაცვლად „სასაქონლო - მატერიალური მარაგების“ ანგარიშისა, ასახული აქვს „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ ანგარიშზე. შესაბამისად, აქტივები კლასიფიცირებულია არასწორად.²⁹

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, სერვისების სააგენტოსა და იუსტიციის სახლში, ძირითადი საშუალებების ანგარიშზე რიცხულია ჯამურად 1,338,171 ლარის,³⁰ 500 ლარზე ნაკლები ღირებულების მქონე ტექნიკა და ინვენტარი, რაც

²⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“.

²⁷ აღსრულების ეროვნული ბიურო - 1,420,645 ლარი, სპეციალური პენიტენციური სამსახური - 1,473,852 ლარი.

²⁸ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 215, პუნქტი 5.

²⁹ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 150, პუნქტი 9.

³⁰ სპეციალური პენიტენციური სამსახური - 1,025,996 ლარი, იუსტიციის სახლი - 185,996 ლარი, სერვისების სააგენტო - 126,179 ლარი.

| | |
|---|---|
| <p>კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა</p> | <p>სააღრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისად,³¹ კლასიფიცირებული უნდა იყოს გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ანგარიშზე. რეკომენდებულია, აღნიშნულ საბალანსე ერთეულებში გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების კლასიფიკაცია მოხდეს შესაბამის ანგარიშებზე, ხოლო ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები - გადატანილ იქნეს საცნობარო მუხლის ანგარიშზე „ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“. აღსრულების ეროვნული ბიურო, სპეციალური პენიტენციური სამსახური, სერვისების სააგენტო, იუსტიციის სახლი.</p> |
| <p>მოთხოვნები</p> | <p>მოთხოვნების აღრიცხვაში გამოვლენილი უზუსტობები: <ul style="list-style-type: none"> ⌋ „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე რიცხული 213,629 ლარი წარმოადგენს შიდაჯგუფურ, არაელიმინირებულ ნაშთს; ⌋ 738,118 ლარის საავანსო ანგარიშსწორება,³² შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, დახურულია 2019 წელს, თუმცა ოპერაცია ასახულია 2020 წელს. <p>(საკითხზე რეკომენდაცია იხილეთ შიდაჯგუფური ოპერაციების/ნაშთების ელიმინირების და ვალდებულებების ნაწილში). სამინისტროს აპარატი, სპეციალური პენიტენციური სამსახური.</p> </p> |
| <p>კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა</p> | <p>სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში აუდიტის შედეგად გამოვლენილია მარაგების ანგარიშზე რიცხული, წინა პერიოდებში ჯანდაცვის სამინისტროდან უსასყიდლოდ მიღებული 1,162,684 ლარის მედიკამენტები და სამედიცინო სახარჯი მასალა, რომლებიც წარმოადგენს მომწოდებელი ორგანიზაციების³³ კონტროლირებად მედიკამენტებს. აღნიშნული მედიკამენტები ხარჯებში ჩამოწერილია მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ. ვინაიდან ბრალდებულები/მსჯავრდებულები ჯანდაცვის სამინისტროს ბენეფიციარები არიან, მიღებული მარაგები აუდიტის ობიექტისთვის ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს.³⁴ რეკომენდებულია, შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, განხორციელდეს სასაქონლო-მატერიალურ მარაგებზე შეცდომით აღრიცხული ოპერაციის კორექტირება.</p> |
| <p>კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა</p> | <p>სპეციალური პენიტენციური სამსახური.</p> |
| <p>ვალდებულებები</p> | <p>ვალდებულებების აღრიცხვაში არსებული ნაკლოვანებები: <ul style="list-style-type: none"> ⌋ 2020 წელს გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების არასწორ პერიოდში აღრიცხვის გამო (2019-ის ნაცვლად, 2020-ში), ვალდებულებები წარმოდგენილია 3,248,159 ლარით შემცირებული ღირებულებით; ⌋ ვალდებულებების თანხა მოიცავს შიდაჯგუფურ და არაელიმინირებულ ნაშთებს 225,599 ლარის ოდენობით; </p> |

³¹ მუხლი 150, პუნქტი 4.
³² შპს „ნეოტექი“, ა/ვ ეა-11 4897257, 01.05.2019.
³³ სოციალური მომსახურების სააგენტო, ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.
³⁴ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

ს) 5,799,553 ლარის ვალდებულებები კლასიფიცირებულია არასწორად (ნაცვლად მოკლევადიანისა, ასახულია გრძელვადიანი ვალდებულების ანგარიშზე).

კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

რეკომენდებულია, საბალანსე ერთეულებმა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების აღრიცხვა განხორციელონ შესაბამის საანგარიშო პერიოდში. ასევე სამინისტროს აპარატმა უზრუნველყოს გრძელვადიანი ვალდებულების რეკლასიფიცირება მიმდინარე ვალდებულებად.

სამინისტროს აპარატი, სპეციალური პენიტენციური სამსახური, იუსტიციის სერვისების სააგენტო.

სხვა ხარჯების აღრიცხვა

2019 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში „სხვა ხარჯების“ მუხლის ჯამური თანხა 10,817,508 ლარია. აღნიშნულ ხარჯებთან მიმართებით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

ეროვნული არქივის, აღსრულების ეროვნული ბიუროს და იუსტიციის სახლის მიერ არ არის „სხვა ხარჯების“ ანგარიშზე აღიარებული 2019 წლის ქონების გადასახადის თანხა – 1,003,028 ლარის ოდენობით,³⁵ სააღრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისად³⁶, რაც, თავის მხრივ, იწვევს საგადასახადო აღრიცხვის ბარათთან სხვაობას.

იუსტიციის სახლის მიერ 2019 წელს კულტივირებული აქტივების ჩამოწერა თანხით – 436,913 ლარი, არ არის ასახული „სხვა ხარჯების“ ანგარიშზე, თანხით პირდაპირ შემცირებულია წმინდა ღირებულების ანგარიში.³⁷

რეკომენდებულია, ქონების გადასახადის აღრიცხვა განხორციელდეს დარიცხვის მეთოდით, შესაბამის საანგარიშო პერიოდში.

იუსტიციის სახლი, ეროვნული არქივი, აღსრულების ეროვნული ბიურო.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

³⁵ იუსტიციის სახლი - 681,738 ლარი, აღსრულების ეროვნული ბიურო - 240,172 ლარი, ეროვნული არქივი - 81,118 ლარი. ხარჯი აღიარებულია 2020 წელს, საკასო მეთოდით.

³⁶ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 80, პუნქტი 15.

³⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 2.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი ლევან შუბითიძე - lshubitidze@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა <https://aris.sao.ge/>

ვებგვერდი და სოციალური მედია <https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი (+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38